ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტი

სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, მეთოდოლოგია და ანალიზი

დამტკიცებული:

სენატის სხდომის ოქმი N6.

თარიღი: 05.09.2025 წ.

დადგენილება N65.

პრეამბულა

განათლების სფეროში მიმდინარე პროცესები ცხადყოფს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო სივრცე საჭიროებს მუდმივ განვითარებასა და ადაპტაციას ახალი გამოწვევებისადმი. „ნეუ - ეროვნულ საგანმანათლებლო უნივერსიტეტს“ აქვს შესაბამისი მატერიალური, ტექნიკური და ადამიანური რესურსი უპასუხოს არსებულ გამოწვევებს და უფრო მეტიც, აქვს შესაძლებლობა გაზარდოს არსებული სტუდენტთა (300 სტუდენტი ზღვრული კვოტა) კონტინგენტის მასშტაბები. „ნეუ - ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტი“ 2020 წლიდან უწყვეტად ახორციელებს სტრატეგიულ განვითარებას, როგორც საგანმანათლებლო, ისე ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მიმართულებით. უნივერსიტეტის მთავარი მიზანია, უზრუნველყოს ხარისხიანი განათლება, რათა მაღალკვალიფიციური კადრები, შესაბამისი ღირებულებებით მიაწოდოს შრომით ბაზარს.

ანალიზი

„ნეუ - ეროვნულმა საგანმანათლებლო უნივერსიტეტმა“ (ყოფილი „თბილისის თავისუფალი აკადემია“) განვითარების 5 (ხუთი) წლიანი უწყვეტი ციკლის ფარგლებში მნიშვნელოვანი ცვლილებები განახორციელა: 2020 წლიდან დღემდე, უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში ფუნქციონირება დაიწყო 3 (სამი) სკოლამ დღეისათვის კი უნივერსიტეტში ფუნქციონირებს 10 (ათი) აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამა. 2024 წლის 21 ნოემბერს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით შპს „თბილისის თავისუფალ აკადემიას“ 6 (ექვსი) წლის ვადით, მიენიჭა ავტორიზაცია და შესაბამისად, წარდგენილი მოთხოვნის საფუძველზე გახდა უნივერსიტეტი. ბოლო ხუთ წლიანი ციკლის შედეგები - „ნეუ - ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტის“ მიერ ავტორიზაციისა და 10 საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის მოპოვება ცხადყოფს, რომ უნივერსიტეტს აქვს სათანადო ფინანსური, ადმინისტრაციული, ტექნიკური რესურსი, რათა სტუდენტთათვის შექმნილი გარემო იძლეოდეს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას. **2020 წლიდან დღემდე უნივერსიტეტში აკრედიტებულია შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამები:**

საბაკალავრო საფეხური:

1. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა 180 კრედიტი;
2. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა 240 კრედიტი;
3. ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
4. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
5. ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;

სამაგისტრო საფეხური:

6. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;

სასერტიფიკატო პროგრამები:

7. ქართულ ენაში მომზადების პროგრამა ეთნიკური უმცირესობებისათვის;
8. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა - ქართული, როგორც მეორე/უცხოური ენა (დაწყებითი - საბაზო - საშუალო საფეხური);
9. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა დაწყებითი საფეხური (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება - I-IV კლასები);

10. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა დაწყებითი საფეხური (I-VI კლასის) მათემატიკა.

უნივერსიტეტი მიმართულია არამხოლოდ ინსტიტუციის შიგნით შექმნას სტუდენტებისათვის განათლების მიღების სათანადო პირობები, არამედ მისცეს მათ შესაძლებლობა სხვა ქვეყნებში, გაცვლითი პროგრამების გამოყენებით მიიღონ გამოცდილება. საგულისხმოა, რომ „ნეუ - ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტი“ 2024 წლიდან არის Erasmus+ საერთაშორისო კრედიტ მობილობის პროგრამების წევრი. მიმდინარე მდგომარეობით უნივერსიტეტი Erasmus+ პროგრამის ფარგლებში თანამშრომლობს შემდეგ უნივერსიტეტებთან:

- "Angel Kanchev" University of Ruse (ბულგარეთი);
- University of Economics and Human Sciences in Warsaw (პოლონეთი);
- Kazimierz Wielki University in Bydgoszcz (პოლონეთი);
- University of Naples Federico II (იტალია), University of Sannio (იტალია);
- University of Leon (ესპანეთი).

ამავდროულად დღეის მდგომარეობით, ინსტიტუციას მსოფლიოს მასშტაბით ჰყავს 60 - ზე მეტი საერთაშორისო პარტნიორი სასწავლო დაწესებულება, რომელთა რაოდენობაც სტაბილურად იზრდება.

ხარისხიანი განათლების მიღება შეუძლებელია სათანადო ადამიანური, მატერიალური და ტექნიკური რესურსის არსებობის გარეშე. მიმდინარე მდგომარეობით „ნეუ - ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტის“ საუნივერსიტეტო საზოგადოება შედგება 30 (ოცდაათი) ადმინისტრაციული ერთეულისა და 132 (ას ოცდათორმეტი) აკადემიური პერსონალისაგან. უნივერსიტეტის მატერიალურ ტექნიკური ბაზა მიმდინარე მდგომარეობით მოიცავს 1500 კვ.მ ფართობს, რომელიც ინსტიტუციური განვითარების პროცესში სრულად იქნა განახლებული და შესაბამისობაში მოყვანილი წაყენებულ მოთხოვნებთან, რასაც მუდმივ რეჟიმში აფასებს გარე შემფასებელთა სხვადასხვა ჯგუფები. მიმდინარე მდგომარეობით, აღსანიშნავია ის რეალობაც, რომ უნივერსიტეტი ტექნიკური რესურსის გაფართოების მიზნით, გეგმავს ულტრათანამედროვე ახალი კამპუსის აშენებას, რომელიც სრულად იქნება მორგებული სტუდენტთა საჭიროებებზე და უზრუნველყოფს ხარისხიანი განათლების მისაღებად სათანადო გარემოს შექმნას.

„ნეუ - ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტისათვის“ დადგენილი კვოტა - 300 სტუდენტის სახით სრულად შეუსაბამოა იმ რეალობასთან და იმ საგანმანათლებლო პროგრამებთან, რომლებიც მოქმედებს უნივერსიტეტში და მათი რიცხვი სისტემურად მზარდია, რამეთუ მიმდინარე მდგომარეობით უნივერსიტეტი ელოდება მე - 11 საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციას.

უნივერსიტეტის მიერ სტუდენტთა რაოდენობის გაზრდის მოთხოვნა ეფუძნება შემდეგ გარემოებებს:

- ინსტიტუციის მიერ ჩატარებული კვლევები - საზოგადოებრივი და რეგიონული მოთხოვნა. ბოლო წლებში საგანმანათლებლო სივრცეში მნიშვნელოვნად გაიზარდა მოთხოვნა ისეთი უნივერსიტეტების მიმართ, რომლებიც უზრუნველყოფენ თანამედროვე, პრაქტიკაზე

დაფუძნებულ და ინტეგრირებულ სწავლების მოდელს. მოთხოვნა განსაკუთრებით მაღალია მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე, ქართულ ენაში მომზადების პროგრამაზე, ბიზნესის ადმინისტრაციის, ფსიქოლოგიისა და სამართლის პროგრამებზე. სტრატეგიული ხედვისა და სამოქმედო განვითარების გეგმის თანახმად, 2025 - 2031 წლების პერიოდში გათვალისწინებულია სტუდენტთა რაოდენობის ეტაპობრივი ზრდა, რაც განიხილება როგორც ინსტიტუციური განვითარებისა და სოციალური პასუხისმგებლობის ნაწილი. ეს ნაბიჯი სრულად შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას - გაზარდოს განათლების ხელმისაწვდომობა და ხელი შეუწყოს ქვეყნის ინტელექტუალურ და ეკონომიკურ განვითარებას.

დასკვნა: აღნიშნული ინსტიტუციის 2024 წლის ბოლოს (დეკემბერი) გარდაქმნამ უნივერსიტეტად საგრძნობლად გაზარდა მოთხოვნა მის მიმართ. აღნიშნულის უტყუარი ინდიკატორია ინსტიტუციის მიერ ჩატარებული კვლევები, გამოკითხვები და არსებული მაჩვენებლები. საზოგადოებრივი და რეგიონული მოთხოვნა - უნივერსიტეტში ყოველწლიურად იზრდება. აბიტურიენტთა რაოდენობა, მიმდინარე კვლევების თანახმად 2026 წლისათვის გადააჭარბებს მოქმედ კვოტას. მოთხოვნა განსაკუთრებით მაღალია მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე, ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამაზე და სხვა.

- საუნივერსიტეტო საზოგადოება მაღალკვალიფიციურ, კრეატიულ და მოტივირებულ პროფესიონალთა გუნდს წარმოადგენს, რომელიც აკმაყოფილებს მაღალი ხარისხის სწავლების მოთხოვნებს. მიმდინარე წელს განახლდა აკადემიური პერსონალის შიდა გადამზადების პროგრამა, დანერგილია თანამედროვე სწავლების მეთოდოლოგიები და გაფართოებულია ლექტორთა ბაზა, რაც უზრუნველყოფს ზრდილი კონტინგენტის მომსახურების შესაძლებლობას.

  დასკვნა: უნივერსიტეტში მოქმედი სტუდენტთა კონტინგენტის და პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის საფუძველზე უტყუარად დადასტურებულია, რომ უნივერსიტეტში დასაქმებული ადმინისტრაციული და აკადემიური რესურსები სრულ შესაბამისობაშია ინსტიტუციის მიერ მოთხოვნილ გაზრდილ კვოტასთან.

- ინფრასტრუქტურული რესურსების თვალსაზრისით უნივერსიტეტს გააჩნია თანამედროვე სასწავლო კორპუსი, ლაბორატორიები, სასამართლო დარბაზი, ბიბლიოთეკა და IT ინფრასტრუქტურა, რომელიც გათვლილია უფრო მაღალი რაოდენობის სტუდენტების მიღებაზე. გარდა ამისა, მიმდინარეობს დამატებითი სასწავლო სივრცეების მოდერნიზაცია და ახალი სალექციო აუდიტორიების მოწყობა.

  დასკვნა: უნივერსიტეტში მოქმედი ინვენტარიზაცია და აღნიშნულის შედეგად მიღებული რაოდენობრივი მაჩვენებლების გათვალისწინებით „ნეუ ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტის“ არსებული ადმინისტრაციული შენობა, არსებული მატერიალურ - ტექნიკური რესურსით ყოველგვარი დაბრკოლებების გარეშე შეძლებს მიიღოს და მოემსახუროს 2500 სტუდენტს.

- ინტერნაციონალიზაციისა და პროგრამების მრავალფეროვნების თვალსაზრისით უნივერსიტეტი

აქტიურად ახორციელებს საერთაშორისო პარტნიორობებს Erasmus+ პროგრამებში და სხვა ევროპულ საგანმანათლებლო პლატფორმებში, რაც მნიშვნელოვნად ზრდის უნივერსიტეტის პოპულარობას ადგილობრივ და უცხოელ სტუდენტებში. უნივერსიტეტი სრულად აცნობიერებს ხარისხის შენარჩუნების მნიშვნელობას და სტუდენტთა რაოდენობის ზრდის პარალელურად გეგმავს სწავლების ხარისხის შიდა მონიტორინგის გაძლიერებას, სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისების გაფართოებას და დამატებითი ადმინისტრაციული/აკადემიური პერსონალის მოზიდვას.

დასკვნა: ბოლო ერთი წლის მანძილზე მიღწეული წარმატებების გათვალისწინებით, Erasmus+ პროგრამებში და სხვა საერთაშორისო პარტნიორობებში აქტიური ჩართულობით, უნივერსიტეტის მიმზიდველობა და კონკურენტუნარიანობა საგრძნობლად გაზრდილია, რაც მნიშვნელოვანი წინაპირობაა იმისა, რომ ინსტიტუციის მიმართ მომართვიანობა 2026 წლიდან ერთი ორად იქნება გაზრდილი.

დინამიკა:

ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტის მიერ ბოლო 5 (ხუთი) წლის განმავლობაში გადადგმულმა კარდინალურმა ნაბიჯებმა ცხადყო, რომ ინსტიტუცია მზად არის მიიღოს 300 - ზე მეტი სტუდენტი და მისცეს მათ ხარისხიანი განათლება. 2025 წლის 15 იანვარს უნივერსიტეტის სენატმა დაამტკიცა „ნეუ - ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტის“ 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა (2025 - 2031 წლები) და 3 წლიანი სამოქმედო გეგმა (2025 - 2027 წლები). სტრატეგიული განვითარების გეგმა სრულად შეესაბამება „ნეუ ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტის“ მისიას და ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს. შემუშავებული სტრატეგიული და სამოქმედო განვითარების შვიდწლიანი და სამწლიანი გეგმები წარმოადგენს მიმდინარე პროცესების ადეკვატური შეფასებისა და სამომავლო პერსპექტივების შეფასების ნაწილს. გეგმების შესაბამისად, უნივერსიტეტის განვითარების შემდგომი ეტაპები სრულად დამოკიდებულია სტუდენტთა კონტინგენტის ზრდაზე. რა თქმა უნდა, ცალსახაა ინსტიტუციის მზაობა გადადგას რეფორმატული ნაბიჯები განათლების სფეროში, თუმცაღა აღნიშნულის განხორციელება მზარდი რიცხვების გარეშე ფაქტობრივად შეუძლებელი იქნება. ეს ყოველივე კი გულისხმობს, რომ უნივერსიტეტი მიზნად ისახავს სასწავლო და კვლევითი შესაძლებლობების გაზრდას, სტუდენტებისა და ადმინისტრაციული/აკადემიური პერსონალისათვის უფრო მრავალფეროვანი და თანამედროვე პირობების შექმნას.

მიზანი:

კვოტის მომატების მიზანი პირდაპირ კორელაციაშია უნივერსიტეტის სტრატეგიულ მიზანთან - ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის გაფართოებასა და საგანმანათლებლო სივრცეში ინსტიტუციური პოზიციონირების გაძლიერებასთან.

ანალიზის საფუძველზე:

„ნეუ - ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტი“, როგორც ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, განახორციელებს სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდის მოთხოვნას მოქმედი 300 (სამასი) სტუდენტის კვოტიდან 2500 (ორი ათას ხუთასი) სტუდენტამდე.

სტუდენტთა რაოდენობის გაზრდის ანალიზი ეფუძნება შემდეგ გარემოებებს:

- არსებული და დაგეგმილი მატერიალურ - ტექნიკური ბაზა;
- ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის სიმცირე - საკმარისობის შეფასება;
- აბიტურიენტთა მოთხოვნის დინამიკა და შრომის ბაზრის ტენდენციები;
- ხარისხის შენარჩუნების გარანტიები და მექანიზმები.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ აღნიშნული ანალიზიდან გამომდინარე, სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდა წარმოადგენს უნივერსიტეტისათვის ბუნებრივ და ლოგიკურ ნაბიჯს სტრატეგიული განვითარების პროცესში. უნივერსიტეტი სრულად უზრუნველყოფს საჭირო მატერიალურ, ადამიანურ და ორგანიზაციულ რესურსებს იმისთვის, რომ გაზრდილი კონტინგენტის პირობებშიც შენარჩუნდეს სწავლების მაღალი ხარისხი და განათლების ხელმისაწვდომობის პრინციპი. ანალიზის საფუძველზე, სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდა წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების და ქვეყნის განათლების პოლიტიკის მხარდამჭერ ნაბიჯს. უნივერსიტეტი სრულად უზრუნველყოფს გაზრდილი კონტინგენტის პირობებში სწავლების ხარისხის შენარჩუნებასა და რესურსების ეფექტურ გამოყენებას. ანალიზი ცხადყოფს, რომ ინსტიტუცია არსებული რეალობის გათვალისწინებით, სრულად პასუხობს ყველა მის წინაშე წაყენებულ მოთხოვნებს, რაც საჭიროა სტუდენტური კვოტის მომატების პროცესში. ასევე, რელევანტურია აღინიშნოს, რომ არსებული 300 (სამასი) სტუდენტი ადეკვატური იყო „თბილისის თავისუფალი აკადემიისთვის, როგორც კოლეჯისთვის, ხოლო ის უკვე არასაკმარისია „ნეუ ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტის“ სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის.

<u>რატომ იქნება 300 (სამასი) სტუდენტი არასაკმარისია „ნეუ ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტის“ სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის:</u>

- სტრატეგიული განვითარება - ზრდის გეგმა ბლოკირებულია/განვითარება შეჩერებულია;
- 300 სტუდენტიანი უნივერსიტეტი - დაბალი მასშტაბი, საგანმანათლებლო პროგრამები ვერ ვითარდება;

- ბრენდი - 300 სტუდენტიანი უნივერსიტეტი - საერთაშორისო პარტნიორები ვერ აღიქვამენ სწორად;
- ფინანსები - მცირე შემოსავალი - მცირე მოდელი არამდგრადია;
- ინფრასტრუქტურა - რესურსების არაეფექტიანი გამოყენება - „ნეუ ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტის“ საკუთრებაში არსებული ფართი გაცილებით მეტია, ვიდრე დღეს ააქვს ის უნივერსიტეტს ათვისებული.

<u>**საერთაშორისო/ადგილობრივი პრაქტიკა:**</u>

University of Luxembourg - **ლუქსემბურგი** - ევროპის ერთ - ერთი ყველაზე პატარა უნივერსიტეტი:

სტუდენტთა რაოდენობა 6800+

Central European University (CEU) - ავსტრია/უნგრეთი - ევროპაში ყველაზე მცირე უნივერსიტეტი:

სტუდენტთა რაოდენობა 1500+

Tartu University – Faculty - ესტონეთი - ფაკულტეტის დონეზე „ნეუ - ეროვნულ საგანმანათლებლო უნივერსიტეტს“ შეესაბამება:

სტუდენტთა რაოდენობა 1800 - 2500

Wrocław Business School - პოლონეთი - მცირე კერძო უნივერსიტეტი:

სტუდენტთა რაოდენობა 1800 - 2200

Üsküdar University - თურქეთი - კერძო უნივერსიტეტი:

სტუდენტთა რაოდენობა 21000

უნივერსიტეტები - საქართველოს მასშტაბით - 300 - სტუდენტიანი უნივერსიტეტი პრაქტიკულად არ არსებობს:

საშუალოდ სტუდენტთა რაოდენობა 1500 - 25000

წყაროები:

1. „ნეუ - ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტის“ მისია;
2. „ნეუ - ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტის“ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
3. სტუდენტთა კონტინგენტის და პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
4. უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული შრომის ბაზრის ანალიზი თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში;
5. ინსტიტუციური ბენჩმარკინგი;
6. პროგრამული ბენჩმარკინგი;
7. გამოკითხვის შედეგები;
8. Erasmus+ პროგრამებში უნივერსიტეტის მონაწილეობის მაჩვენებელი.